“დინამო” (თბილისი) – “ვვს” (მოსკოვი)

3 სექტემბერს, ბერიას სახელობის თბილისის “დინამოს” სტადიონზე, სსრ კავშირის 1948 წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ვვს”–ის გუნდები. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, სტადიონის ტრიბუნები სავსე იყო მაყურებლებით.

თამაში დაიწყო თბილისელთა იერიშებით. უკვე მე–3 წუთზე თბილისელმა თოდრიამ ხელიდან გაუშვა ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა. მოსკოველებმა მოიგერიეს დინამოელთა იერიში და თამაში წარიმართა გარდამავალი უპირატესობით. მე–16 წუთზე მოსკოველმა მცველმა თავისსავე კარში გაიტანა ბურთი. 25–ე წუთზე დინამოელმა კიკნაძემ ოსტატურად მიაწოდა ბურთი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ბურთი მიიღო პანიუკოვმა და გაიტანა მოსკოველთა კარში. ორი წუთის შემდეგ მახარაძემ მესამედ შეარხია მოსკოველთა კარის ბადე, მაგრამ ეს სუფთად გატანილი გოლი რატომღაც არ იქნა ჩათვლილი. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში მოსკოველები ცდილობდნენ გაექვითათ ანგარიში. დინამოელთა მეკარე მარღანიამ რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო. შემდეგ თამაში მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე გადავიდა. მე–20 წუთზე არუშიძემ მესამე ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. 4 წუთის შემდეგ მოსკოველმა სჩერბატენკომ ერთი საპასუხო ბურთი მოათავსა “დინამოს” კარის ბადეში. თამაშის დამთავრებამდე თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და მატჩი მოიგეს ანგარიშით 4:1.

“კომუნისტი”, 5 სექტემბერი, 1948 წ.